ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1257146

ნომერი: AR1203343

თარიღი : 10.04.2014

გაცემის თარიღი : 07.05.2014

გაცნობის თარიღი : 09.05.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ბელიაშვილის I შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლელა დგებუაძე პ/ნ 01011078856
- თბილისი ბ.ხმელნიცკის 2 #6

ორგანიზაცია:
- შპს ,,რეალ რეგისტრი" კოდი: 404395828

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : ავტოტექმომსახურება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის

დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

გადაწყვეტილება

მოქალაქე ლელა დგებუაძეს 10/04/2014 წლის #AR1203343 განცხადებაზე პასუხად დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა დამატებით გარკვეული სახის დოკუმენტაციის 10 დღის ვადაში წარმოდგენა, სადაც იმავდროულად განემარტა, რომ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველი.

განმცხადებლის მიერ სატიტულო ინფორმაცია ველში არქიტექტორის სატიტულო ინფორმაცია არასწორადაა მითითებული და პროექტთან ერთად განმცხადებლის მიერ არ არის წარმოდგენილი შეთანხმებული ობიექტის ვიზუალი (თუ როგორი სახე ექნება ობიექტს მოპირკეთების შემდგომ)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან სამსახურის №1222188 ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია არ იქნა სრულყოფილად შესწორებული სახით წარმოდგენილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების თანახმად, ლელა დგებუაძის #AR1203343 განცხადება დარჩა განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.